№В, 14.15 = 3Ვ = 308

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი.

ივლისი.
№ 13

1911

ფასი მეშვიდე
მსირე წლოვანთათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I—ჩამოდი, ჩამოდი, ჩემო ციცუნიავ,—სურათი . . . 1

II—მაისი,—ლექსი,—ი. მჭედლიშვილისა. 3

III—ბურდღულას ოინები,—ს. დადიანისა 5

IV—ბრძენი და მეფე,—(თარგმანი) დ. ღამბაშიძისა . . 11

V—ჭკვა და ბედი,—(თარგმანი)—დადო რეხიდაძისა . . 13

VI—ორი ნატეხი შაქრის ამბავი, (ვაგნერიდან) დ. ეიოვიანისა. 18

VII—ჭკვიანი სპილო,—(გერმანულიდან)—ს. შანშიაშვილისა . 21

VIII—გასართობი:— { 1) ჩამოთვალე,—ირ. ევდოშვილისა
2) წუმწუმის ღერის გადასვ-გადმოსმა, რებუსი და აღსნა . . 23

ფასი 1 ეკ. სახლი № 5.

ნაკადული საყმაწვილო ჟურნალი.

წელიწადი მე VII. № 13 ივლისი 1911 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ჩამოდი, ჩამოდი, ჩემო ციცუნიავ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I—ჩამოდი, ჩამოდი, ჩემო ციცუნიავ,—სურათი . . . 1

II—მაისი,—ლექსი,—ი. მწედლიშვილისა. 3

III—ბურდღულას ოინები, -ს. დადიანისა 5

IV—ბრძენი და მეფე,—(თარგმანი) ლ. დამბაშიძისა . . 11

V—ჭკვა და ბედი,—(თარგმანი)—ლადო რცხილაძისა . . 13

VI—ორი ნატეხი შაქრის ამბავი, (ვაგნერიდან) დ. ყიფიანისა. 18

VII—ჭკვიანი სპილო,—(გერმანულიდან)—ს. შანშიაშვილისა . 21

VIII—გასართობი:— 1) ჩამოთვალე,—ირ. ევდოშვილისა
2) წუმწუმის ღერის გადასვ-გადმოსმა, რებუსი და აღსნა . . 23

ტფილისი, ელექტ.-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საკ. სახლი № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისი.

ამზეთ ქვეყანას გაუღიმა,
გადმოჰფინა ცით სხივები,
მთებს ჩაცვა მწვანე კაბა,
ჩამოუდნო თეთრი თმები.

შეიქოჩრა მინდორ-ველი,
შეიქოჩრა ყვავილთ-ტალღა,
სტვენს ბულბული, ლექსთა მთქმელი,
სტვენს, იძახის მინდვრად ღალღა.

წყარო მირბის, მიკისკასობს
და მიარღვევს ყვავილთ ჯარსა;
მსიარულის ჭანგით ატკბობს
აყვავებულს მთას და ბარსა.

მარწყვი ღუის, სურნელს აკმევს,
ღიღილო *) მას მხარს უმშვენებს,

*) ღიღილო — ყვავილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე მიჯვრიტე სიცილს აფრქვევს,
ეფითელ კბილებს მზეს უჩვენებს...

გაიღვიძა ბუნებამ და
გაადვიძა თვისი შვილი;
უთხრა: ,,კაცო, აჭა ძღვნადა
ეს ქვეყანა ტურფა, შლილი!''

ი. მჭედლიშვილი.



ბურდღულას ოინები.



ულტუ გაბედული მონადირე იყო. სულ მთებში დაეხეტებოდა და, რასაკვირველია, დათვებთან ხშირად მოუხდებოდა შეხვედრა. რამდენჯერ ხრამში გადაჩეხილა, რამდენჯერ დათვს დაუბეგვია, გულ-მკერდი სულ დაღარული ჰქონდა დათვის კბილებისა და ბრჭყალებისაგან, მაგრამ აქამდისაც ცოცხალია და ჯანმრთელი. ერთხელ,—მიამბო დულტუმ,—შეუმჩნეველად ისეთ ნაპრალებში მოვემწყვდიე, რომ გამოსასვლელი გზა აღარა მქონდა. მოვიხსენი ზურგიდან დათვის ტყავის ნაგლეჯი, ზედ დავჯექ და, როგორც გორაკიდან ჰატარა მარხილზე, ისე დავეშვი ამ კედელივით მოსიბულ კლდიდანა. თვალის დახამხამებაში ჩამოვხრიალდი და-ბლა ჰატარა ბუჩქნარში, მაგრამ ,,ვაის გავეყარე—უის შევეყარეო,'' რომ იტყვიან, სწორედ ისე მომივიდა: თურმე იქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშველებელი დათვი იწვა, რწყავით*) გამამდარი. უცვე წამოსტა დაფეთებული, მაგრამ, როცა დამინახა, ადამიანიაო, ბუზღუნით და საეგედურით მომიახლოვდა. მეც ვხედავ, რომ ვერაფერს მოვასწრებ და ისევ ხრიკებს მივმართე. თავი მოვიმკვდარუნე და სულ-განაბული გავიშხლართე დედამიწაზე. დათვიც მომიახლოვდა, დამსუნა და შემდეგ კარგი ექიმივით ეური დაუგდო, სუნთქავს თუ არაო. მეც სულთქმა შევიკარ, რადგანაც ვიცოდი, სიცოცხლის ნიშანი რომ ენახა, შემჭამდა. დარწმუნდა, მკვდარიაო და, რადგანაც გამამდარი იყო, სამერმისოდ საზრდოს ზრუნვას შეუდგა. მომდგა ის წყეული და ისე დამბეგვა, თითქოს მზარეულია და საგუფთე ხორცსა ჭბეგვავსო. ამას შეჩვეული ვიყავი და საეგედურს არ ვეუბნებოდი, თუ სულს შემარჩენდა. ბოლოს ამიტაცა ჰატარა ბავშვივით, გამიტანა იქვე ნესტიან ადგილას და გამალებული შეუდგა სამარის თხრას. ვინ ეხვეწებოდა იმ შეჩვენებულს, ჭირისუფლობა გამიწიეო! ამწია ბოლოს, სამარეში ჰირქვე ჩამაგდო და სამარის ამოვსებას სიჩქარითა და ბურდღულით შეუდგა, თითქოს შენდობას მეუბნებაო.

მადლობა ღმერთს, რომ ის მერალი ცუდი მესაფლავე გამოდგა; ცოტა დავიცადე. მერე ერთი მაგრა შევიბერტყე და ამოვედი სამარიდან. იქვე დამჭალი ჯირკი ეგდო, ჩემ მაგიერ ის ჩავასვენე და ჩემს გზას გაუდექი... ოჰ, რამდენს იბურდღულებდა და ჭბეგვავდა იმ ჯირკს, როდესაც შიმშილეული დაბრუნდებოდა და თავის შენახულ საუზმეს ვეღარ იპოვნიდა.

ბევრი ამ გვარი რამ გადაჭსედოდა დუტუს; ვინ იცის, ეგებ ბევრს ტეუილსაც ურევდა, როგორც მონადირეთა წესია, მაგრამ გასაოცარი კარგი მოამბე იყო და სიამოვნებით უსმენდი.

---

*) ხეხილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ კიდევ, მოდის თურმე დუტუ ერთ ვიწრო ბილიკზე, საშინელ ნაპრალის პირად; გაიხედა და მეორე ნაპირიდან ერთი უშველებელი ბანჯგვლიანი დათვი არ მოაბიჯებს? სიგიწროვისა გამო უკან მობრუნება მოუხერხებელი იყო, მაგრამ დუტუმ შიში არ იცოდა და გაჭირვებაში გონებას არა ჰკარგავდა. „ოჰ, დათოს გაუმარჯოს!“ ნაცნობივით მიესალმა დუტუ დათვს, მოიხსნა უცებ ზურგიდან დაკეცილი ნაბადი და მიუგდო. დათომ ერთი მარჯვე მობურთალივით გაჰკრა თათი ნაბადს, შიგ ხრამში გადასტეორცნა და მერე თითონაც გორგალივით დაგორდა. მეორე დღეს დუტუ ისევ იმ ადგილებში მოხვედრილიყო, თავისი ნაბადი სულ დაფლეთილი ეპოვნა და შიგ შეხვეული საჭმელი-კი დათოს მიერთმია.

აი, ამ დუტუმ ერთხელ სოფელში ჩამოგვგვარა დათვის პატარა ბელი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. იმ წამსვე კრება გავმართეთ და დიდის, გამწვავებულის კამათის შემდეგ, გადავწყვიტეთ—სახელად ბურდღულა დაგვერქმია, რადგანაც სულ ბურდღულებდა. მთელი დღე გაბუტული იყო და საჭმელს არ მიჭარებია, მაგრამ ბოლოს მოლბა და შეგვიტკბო. დუტუმ დაგვარიგა ხორცეულობა არ მიგვეკარებინა, თუ გვინდოდა—სულ მოთვინიერებულიყო და მოშინაურებულიყო და ჩვენც პატარა ლეკვებთან უდგამდით სალაფავს.

ძალიან ჭკვიანი რამ იყო ეს ჩვენი ბურდღულა. დღე ისე არ გავიდოდა, ახალი ოინი არ მოეგონა ჩვენს გასართობად. ერთად ვთამაშობდით და ხშირად ლეკვებსაც და ჩვენც აგვაწიეულებდა ხოლმე, თუ გავაბრაზებდით. როდესაც დაბმული იყო და ბჭისკარის ჭრიალი მოესმებოდა, უცებ ყალხზე შესდგებოდა, ყურებს სცქვეტდა და ისეთის სისწრაფით აპარპალებდა ენას, რომ თვალს ვერ ვასწრებდით.

გამოგიშვერდა თათს და თითქოს გეუბნებოდა: „აბა, შენც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაადე ხელი''-ო. ჩვენც დავადებდით ხელს და ცბიერად ცალის თვალით ჩვენ გვიყურებდა; თან შეუმჩნევლად თათს და ხელს იახლოვებდა, უცებ ,,ჰამ''-ო, დაიმახებდა და ქორივით დაეძგერებოდა ხელს საკბენად.

ვინ მოსთვლის იმის ოინებს, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთს გიამბობთ: ბურდღულას სამზარეულო სახლის დერეფანში ვაბამდით ხოლმე; იქვე ქათმები და წიწილები ეოველთვის ირეოდა. თურმე ბურდღულას უდევნებია თვალ-ყური, როგორ უერიდა დილ-დილობით დედაკაცი წვრილ-ფეხს საკენკსა... ისიც, როდესაც წიწილებს დაიმარტოხელებდა, აიღებდა თათებით მტვერს, თან ნელ-ნელა აბნევდა და თან ბურდღულებდა, სულელ წიწილებს ეგონათ, საკენკს გვიბნევენო და მივარდებოდნენ; ამ დროს ბურდღულა მოულოდნელად დაეცემოდა და რამდენსამე ერთად შეახრამუნებდა.

გეცოდინებათ, რომ დათვს კაცივით ორ-ფეხზე დგომა ეხერხება; წინა ფეხებს ამ დროს თავისუფლად ხმარობდა. ერთხელ გოგოს დასარეცხად თეფშები დაელაგებინა. სანამ სხვას გამოიტანდა, მიჭვარვია ჩვენი ბურდღულა, დაუვლია ხელი დალაგებულ საინებისათვის და გოგომ მაშინ მოასწრო, როდესაც შუა კიბემდე მიეტანა. გოგომ შეჭკივლა, ამ დროს უშვა ხელი ბურდღულამ თავის ტვირთს და სულ ლუკმა-ლუკმა დაამსხვრია; მოხვეტა უცებ ბურდღულამ ნამტვრევები და, სანამ ყველა არ გალოკა, ვერაფრის გზით ვეღარ მოვაშორეთ; შემდეგ-კი უსირცხვილოდ წავიდა და, თითქოს აქ არაფერიაო, თავის საბამთან მოიკალათა.

ახლა არ იკითხავთ, როგორ იშორებდა ბურდღულა მკბენარა მწერებს, რწეილებს? იქვე ეზოშივე ჩამოდიოდა წისქვილის წყალი; ბურდღულა, როდესაც კარგა ჩამოცხებოდა და რწეილებიც ერთობ შეაჯირვებდნენ, გასწევდა ბურდღულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარისაკენ. იქ ჩადგებოდა წყალში მუხლებამდე, შემდეგ კიდევ შეიწევდა წყალში, მერე სულ ჩაწვებოდა, ისე რომ მხოლოდ თავი-ღა უჩანდა; მერე თავს თან-და-თან ჩაჭყოფდა და მხოლოდ ცხვირს ამოაჩენდა. თურმე, ნუ იტყვით, ასე თან-და-თანთბით წყალში იმიტომ წვებოდა, რომ რწყილები დასველებულიყვნენ და ბოლოს სულ ყველა ცხვირზე შეჯგუფულიყო. ბურდღულაც ამ დროს უცდიდა; უცებ ცხვირს წყალში ჩაჭყოფდა და ამ შებურთულ რწყილებს წყალს გაატანდა. ამასაც არ აკმარებდა ბურდღულა თავის მტანჯველებს, გამოუდგებოდა და ერთიანად გადასანსლავდა.

ჩვენ ძლიერ გვიყვარდა ბურდღულა, ერთად ვბანაობდით, ხეებზედაც ერთად ავდიოდით და, როდესაც წამოიზარდა, ზედაც შევაჯდებოდით და საზღვაპრო გმირებიყვით დავაჯირითებდით ამ ახირებულ ცხენს. ხან-და-ხან, თუ მოინდომებდა, სირბილშიკვე გადაკოტრიალდებოდა და ყირაზე გადაგვიყვანდა თავმომწონე მხედართ.

ერთხელ სადილზედ უცაბედად ჩხუბი მოუვიდათ ბურდღულას და ჩვენს დიდ ძაღლს ბაჯალას; ძაღლები ბაჯალას მიეშველნენ, რადგანაც ძაღლებმა ძალიან იციან თავისიანის მხარის დაჭერა და ამხანაგობა და ბევრი ბღუჯა ბალანი დააყრევინეს ჩვენს ბურდღულას, თუმცა მორევით ვერ მოერეოდნენ.

არ ვიცი, ეგ ეწყინა, თუ გარეკანი და ონავრული ბუნება გაეღვიძა, სახლიდან წავიდა; ვინ იცის, რამდენი ისტორიალა ტყეში, მაგრამ, როცა მოშიენოდა, ისევ სოფელში შემოვარდნილიყო და ბარე სამი-ოთხი თხა და ღორი დაეღადრა. სოფლელებიც დასდევნებოდნენ და ნაცემ-ნაბეგვი, ენა-გადმოვარდნილი ისევ ჩვენსა დაბრუნდა.

ეს იყო და ეს, ბურდღულა გაირეკნა. როგორც-კი დროს იხელთებდა, სოფელში გარბოდა და ალიაქოთს ასტეხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ, როდესაც საზაფხულოდ სოფელში დავბრუნდით, ჩვენი ბურდღულა ალარ დაგვხვდა... სხვისთვის ეჩუქებინათ დავღონდით, მაგრამ რას გავაწყობდით. შორიდანვე საშინლად შეგეშულდა წამევანი და სიხარულით შევხვდით ამ ამბავს: ამ ახალ პატრონს სახლის წინ ედგა ვაზიანი ხე, რომელიც აუარებელ ეურძენს ისხამდა. ერთ ღამეს ბურდღულას აეწევიტა ჯაჭვი და ამ ხეზე აპარულიყო ეურძნისათვის. პატრონმა გაიგო, ვიღაც ზის ხეზედაო, ქურდი ეგონა და უბრძანა ჩამოსულიყო. როდესაც ხმა არაფინ გასცა, ერთი მოზრდილი ქვა სდო ჩვენს ბურდღულას ბეერდში. გაძწარებული ბურდღულა მოსწყდა ტეეიასავით და მთელი თავისი სიმძიმით ზედ თავის პატრონს დაეცა. თქვენს მტერს, პატრონს საქმე დაემართა: ასლაც კისერ-ჩაგარდნილი და წელში მოკაკული დაიარება.

ს. დადიანი.

ბრძენი და მეფე.

(თარგმანი).



ველად, ქრისტეს დაბადებამდე, სცხოვრობდა ერთი მეფე, სახელად ალექსანდრე მაკედონელი. მას სცნობდა მთელი ქვეყანა. მის ომებსა და გამარჯვებაზე სთხზავდნენ ლექსებს. მთელ ქვეყნიერობაზედ სჭქდა მისი სახელი. ამაკე ქვეყანაში სცხოვრობდა კაცი, სახელად—დიოგენი. ზოგი ბრძენს ეძახდა, ზოგი-კი—სულელს. სცხოვრობდა ბოჭკაში და მთელი მისი ქონება იყო: ჯოხი, ჩანთა და ძველი წამოსასხამი. ჭქონდა ჭურჭელიც წელის სასმელად, მაგრამ როცა დაინახა—ბავშვი მუჭით სვამს წყალსაო, ეს მეტიაო და ჭურჭელი მაშინვე გასტეხა.

მეფე ალექსანდრემ მოინდომა ამ უცნაურის კაცის ნახვა. ბრწყინვალე ამალით მივიდა დიოგენთან. ამ დროს დიოგენი იწვა თავის ბოჭკასთან და მზეზე თბებოდა. მეფე მივიდა ძალიან ასლო. დიოგენი არცა-კი შეინძრა და ხმა-ამოუღებლივ უცქეროდა მეფეს.

— მე ალექსანდრე მაკედონელი ვარ!—უთხრა მეფემ.

— მე —დიოგენი,—უპასუხა თავისუფლად ბრძენმა.

მეფე გაოცდა. ეველგან და მუდამ ესმოდა ქება, დიდება და ჭსედავდა მორჩილებას; არავინ ასე გულ-ცივად და ამაყად არ დაჭსვედრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—არ გეშინიან ჩემი?—ჰკითხა მეფემ დიოგენს.

—როგორ, ბოროტი ხარ განა?

—არა, კეთილი ვარ,—მიუგო მეფემ.

—მაშ, რისთვის უნდა მეშინოდეს,—დამშვიდებით უთხრა დიოგენმა.

ალექსანდრე ძლიერ გაოცდა ამ კაცმა. არავის არ ჰგავდა იმათ შორის, ვისაც იცნობდა. მეფემ მოინდომა მისი დასაჩუქრება.

—ვიცი, ძლიერ ღარიბი ხარ,—უთხრა მან:—არაფერი არ გაქვს, მითხარი, რა გინდა და ყველაფერს აგისრულებ.

—გაიწი იქით—უთხრა დიოგენმა, მზეზე თბობას ნუ მიშლი, მეტი მე არა მინდა-რა.

ამას-კი აღარ მოელოდა მეფე. ბრძენმა განაგრძო:

—შენ სიმდიდრეს მაძლევ, მე-კი შენზე მდიდარი ვარ. ჩემთვის საკმარისია ეს ბოჭკა, ჩანთა და წამოსასხსაძი, შენთვის-კი ცოტაა მთელი სამეფო; შენ მთელ სიცოცხლეს ომებში ატარებ, წვალობ სამეფოს გასაფართოებლად. მე-კი ჩემის ქონების კმაყოფილი ვარ და მეტი არაფერი არ მინდა. განსაჯე ახლა, რომელია ჩვენში მდიდარი?

—ალექსანდრე ჩაფიქრდა.

ლ. ღამბაშიძე.

ჭკვა და ბედი.

(ჩეხური ზღაპარი).

როსელ ჭკვა და ბედი შეხვდნენ ერთ-მანეთს ვიწრო ბოგირზე.

— ჩამოშეცალე!—უთხრა ბედმა. ჭკვა მაშინ ჯერ კიდევ გამოუცდელი იყო, არ იცოდა, რომელ მათგანს უნდა დაეთმო გზა და უთხრა:

— რაღა მე უნდა დაგითმო გზა? განა შენ ჩემზე უკეთესი ხარ?

— ვინც ვისა სჯობდეს,—უპასუხა ბედმა:—დეე, იმან თავისი უპირატესობა საქმით დაამტკიცოს. ჭხედავ, აი იქ, მინდორში ახალგაზდა გლეხის ბიჭი მიწას ჭხნავს? წადი და, თუ ცხოვრებაში უკეთ უშველი, ვიდრე მე, მაშინ ეოველთვის დაგითმობ ხოლმე გზას, სადაც უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. ჭკვა დასთანხმდა და მაშინვე შეეიდა მხვნელის თავში. იგრძნო თუ არა მხვნელმა თავში ჭკვა, იწყო მსჯელობა: ,,ნუ თუ მთელი ჩემი სიცოცხლე გუთანს უნდა ვსდიო. განა არ შეძიძლიან სხვა-ნაირად და უმჯობესად მოვაწყო ჩემი ცხოვრება?'' იფიქრა ეს, გაანება თავი მუშაობას და წავიდა შინ. ეუბნება მამას:

— მამავ, ჯერ შეეწყო ჩემი გული ამ ცხოვრებას: მსურს მებაღე ვიყო. მამამ ჯერ უშალა: რა მოგიეიდა, ჭკვაზე ხომ არ შესცდიო, მაგრამ მერე მოიფიქრა და უთხრა:—კარგი, რაკი ასე გსურს, წადი, ღმერთი იყოს შენი მფარველი, მხ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ ჩემი სახლი გადაეცემა სამუდამოდ შენს ძმას. თალია, ენაღვლებოდა ივანეს მამეულ-სახლისთვის თავის დანებება, მაგრამ წუხილს ეური არ ათხოვა, წავიდა სოფლიდან სამეფო ქალაქში და მიებარა ერთს მეფის მებაღეს.

ბევრი ვერაფერი შეასწავლა მებაღემ, მაგრამ სამაგიეროდ თვითონ ივანემ ყველაფერი გაიგო, თავის ცდით ყველაფერს მიხვდა. ცოტას ხანს შემდეგ მებაღეს აღარ-ცა ეკითხებოდა არაფერს და თვითონ, საკუთარ გამჭრიახობით განაგებდა ბაღს. ამის გამო პირველში მებაღე უჯავრდებოდა ივანეს, მაგრამ შემდეგ, როცა ნახა, ივანე ყველაფერს უკეთესად აკეთებდა, დაშშვიდდა.

— ვხედავ შენ ჩემზე მეტი ჭკვა გაქვს,—უთხრა ივანეს და ნება დართო ეკეთებინა ყველაფერი ისე, როგორც სურდა. მოკლე ხანში ივანემ ისე გაამშვენიერა ბაღი, რომ თვით მეფე დადიოდა ხოლმე ხშირად სასეირნოდ და სტკბებოდა საანახაობით. მოჰყვანდა თან დედოფალი, თავისი მეუღლე, და ბატონიშვილი, თავის ერთად ერთი ასული.

მეფის ქალი იყო მეტად მშვენიერი არსება, მაგრამ ჭკონდა ესეთი ნაკლი: თორმეტის წლისამ დაჰკარგა მეტყველება და მას შემდეგ არავის გაუგონია იმისაგან არც ერთი სიტყვა. ბევრს სწუხდნენ მშობლები; მეფე—ძამამ ბრძანა, ეუწყებინათ ხალხისთვის: ვინც დაუბრუნებს ჩემს ქალს მეტყველებას, ის შეიქმნება იმის ქმარიო. ბევრმა ახალგაზდა ბატონიშვილმა, თავადმა და დიდებულმა სცადა ბედი, მაგრამ სულ უქმად: რითაც მოდიოდნენ, იმითვე ბრუნდებოდნენ. ვერც ერთმა მათგანმა ვერ აამეტყველა უტყვი ბატონიშვილი.

დაფიქრდა ჩვენი ივანე: რატომ მე-კი არ უნდა ვცადო ჩემი ბედი? ვინ იცის, იქნება მე შევძლო იმის ალაპარაკება, რომ ვკითხო რამეო. და გადასწყვიტა—გამოუცხადოს მეფეს თავისი განზრახვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მეფემ გაიგო ივანეს ამბავი, დიდებულების თანხლებით წავიდა მაშინვე იმ ოთახში, რომელშიაც იმეოფებოდა იმისი ქალი და წაიყვანა ჩვენი ივანე. ბატონიშვილს ჰყვანდა ერთი კარგი ბატარა გოშპარა და მეტად უყვარდა იმიტომ, რომ ძაღლი იყო არა-ჩვეულებრივის გონებისა: ესმოდა ყველაფერი, რაც სურდა ბატონიშვილს. როცა ივანე შევიდა ოთახში, თავი მოიკატუნა, ვითომ და ქალს ვერა ვხედავო, მიუბრუნდა ძაღლს და დაუწყო ლაპარაკი:

— მე გავიგე, გოშპარავ, ჭკვიანი ხარ, და ამიტომ მოგმართე, რომ გაგვირჩიო ერთი დავა. ვიყავით სამი ამხანაგი: ერთი— სურო, მეორე—თერმი—და მესამე—მე. ერთხელ მოგვინდა ტყეზე გავლა; დაგვიღამდა და ტყეში მოგვიხდა ღამის თევა. რომ მგლებისაგან თავი დაგვეფარა, დავანთეთ დიდი ცეცხლი და დავადგინეთ ჯერ-ჯერით ყარაულობა.

პირველი ჯერი შეხვდა სუროსა. რომ როგორმე გაეღონღიალებინა დრო, აიღო ხის ნაჭერი და გამოსჭრა ლამაზი ქალი. გაათავა მუშაობა და გააღვიძა თერმი, რომ ახლა იმას ეყარაულნა. თერმმა დაინახა გამოჭრილი სახე და ჰკითხა: ,,ეს რა არის?'' ,,აი, ჰხედავ''—მიუგო სუროს: რომ დრო შემოკლებინა, გამოვჭერ ხიდან ქალი; თუ შენ მოგეწყინა მარტო ჯდომა და ყარაულობა, შეგიძლიან შეუკერო ტანისამოსი.'' თერმიც სწორედ ასე მოიქცა: ამოიღო მაკრატელი, ნემსი, ძაფი, გამოსჭრა ტანისამოსი და შეუდგა კერვას. როცა ტანისამოსი შეუკერა და ჩააცვა ქალს, მერე გამაღვიძა მე, რომ მეყარაულნა. მეც ვკითხე, რა არის მეთქი ეს. ,,ჰხედავ,'' მიპასუხა: ,,სუროს გამოსჭრა ხიდან ქალი, მე რომ გული გამეოლებინა, შეუკერე ტანისამოსი; შენ, თუ-კი შესძლებ, ცუდად ეოფნის მაგიერ, ამ ქალს ლაპარაკი ასწავლე.'' დილამდინ ლაპარაკი ვასწავლე. დილით, როცა ჩემმა ამხანაგებმა გაიღვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეს, შეგვეძმნა ჩხუბი: ეველა ჩვენგანი ქალს თავისად ეუბნებდა. ხუროა ამბობდა: ,,ეგ მე გამოვჭერო. თერმი იმეორებდა: ,,ტანთ მე ჩავაცვიო.“ მეც ჩემსას ვამბობდი. მითხარ ახლა, გოშვარავ: რომელ ჩვენგანს უნდა ეკუთვნოდეს ის ქალი.— ძალლი, რასაკვირველია, სდუმდა, მაგრამ იმის მაგივრად უპასუხა თვით ქალმა:

— სხვას ვიღას უნდა ეკუთვნოდეს, თუ არა შენ. ხურომ გამოსჭრა, მაგრამ სიცოცხლე არ მისცა; თერძმა შემოსა, მაგრამ მეტეველებით არ დააჯილდოვა; მათი საქმე შენსას არ შეედარება: შენ მიეცი საუკეთესო საუნჯე—სიცოცხლე და მეტეველება, და ამიტომ შენ გეკუთნის სამართლით.

— შენ თვითონ განსაჯე შენი საქმე!—უთხრა ივანემ:— აი, შენც მე მოგეცი მეტეველება და ასალი სიცოცხლე და, მაშასადამე, შენც სამართლით მე მეკუთვნი. მაშინ ერთმა დიდებულთაგანმა სთქვა:

— მათი უდიდებულესობა მეფე მოგცემს დიდ საჩუქარს, რაკი შესძელ იმის ქალისთვის მეტეველების დაბრუნება; მხოლოდ ჯვარის დაწერა არ შეგიძლიან, რადგანაც უბრალო კაცის შვილი ხარ. მეფემაც იგივე უთხრა:

— შენ უბრალო გვარისა ხარ, მე მოგცემ ქალის მაგიერ მეიროვანს საჩუქარს. ივანეს საჩუქრის გაგონებაც-კი არ უნდოდა; ის ამბობდა:

— მეფე დაჯირებული იყო: ვინც დაუბრუნებს ჩემ ქალს მეტეველებას, ის გახდება ქმრადაო. მეფის სიტყვა კანონია: თუ მეფეს უნდა, რომ სხვები პატივს სცემდნენ კანონს, თვითონ უნდა ასრულებდეს ყველაზე უწინ. ამიტომ მეფე მოვალეა მომცეს თავისი ქალი.

— მცველნო, შეჭბოჭეთ ესა!—დაიყვირა დიდებულმა:— ვინც ამბობს, მეფე რისამე მოვალეაო, ის შეურაცხყოფს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ უდიდებულესობას და ღირსია სასჯელისა. თქვენ ... ბულებავ, ბრძანეთ, რომ ეს დამნაშავე დასჯილ იქმნეს. მეფემ სთქვა:

— დასაჯონ!

ივანე მაშინვე გათოკეს და წაიყვანეს სასჯელის მოსახდელ მოედანზე.

როცა მივიდნენ დანიშნულ ალაგას, ბედი უკვე იცდიდა იქ და ჩუმად უთხრა ჭკვას:

— აი, ჭსედავ, სადამდის მიიყვანე კაცი, სიცოცხლეს უნდა განშორდეს. დამითმე საჩქაროდ შენი ალაგი!

— შევიდა თუ არა ბედი ივანეში, ჯალათს მაშინვე ტარში გადაუტეხა ხმალი, თითქოს ვისმე გადაეჭრას; და ვიდრე მეორეს მოიტანდნენ, გამოჩნდა ჭენებით მომავალი შიკრიკი. რომელიც მსიარულად უკრავდა საყვირს და მოაფრიალებდა თეთრ ალამს. მას თან მოჰყვა მეფის ეტლი ივანეს წასაყვანად.—ამის მიზეზი იყო შემდეგი: ბატონიშვილმა დაარწმუნა მამა, რომ ივანე მართალია: მეფის სიტყვა არ უნდა ირღვეოდეს; და თუ ივანე უბრალო კაცის შვილია, მეფეს შეუძლიან გაადიდკაცოსო. მეფემ მიუგო თავის ქალს:

— შენ მართალს ამბობ! დეე, ივანე შეიქმნეს თავადი. მაშინვე ივანეს მოსაყვანად აფრინეს ეტლი და იმის მაგიერ და სასჯელად გაგზავნეს ის დიდებული, რომელმაც მეფე აცდინა.

როდესაც ივანე პატარძლით ქორწილიდან ბრუნდებოდა, გზაზე ჭკვა შემოეყარა; დაინახა რა ჭკვამ, რომ ბედს უნდა შეხვედროდა, დაღუნა თავი და გვერდზე გადაუხვია. მას შემდეგ, ამბობენ, ჭკვა, დაინახავს თუ არა ბედს, შორიდანვე ეცლება და უთმობს გზასაო.

ლადო რცხილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ნატეხი შაქრის ამბავი.

(ვაგნერიდან).



ღეს, დილით, საუზმეზე, ბავშვს ცხელ ჩაისთან ერთად ორი ნატეხი შაქარიც მისცეს. ისეთი წმინდა და თეთრი, როგორც ახალ მოსული ზამთრის თოვლი. საიდგან წარმოსდგა შაქრის ნატეხები, რა თავ-გადასავალი გადახდათ? თუმცა ორივე ნატეხი ბავშვს ერთი საშაქრიდგან ერგო, მაგრამ იმათი ბედ-იღბალი მაინც განსხვავებულია.

ერთი მათგანი ჩვენი თანამემამულეა. დაიბადა იმ ადგილებში, სადაც ჭარხალი მოჰყავთ. დახნულ მინდორზე გლეხი მივიდა და ერთი მეორისაგან ნახევარ ნაბიჯის სიშორეზე, ფხვიერსა და მსუქან ნიადაგში ჭარხლის ჰატარა წვეტიანი თესლები ჩარგო.

ნოტიო და თბილ ნიადაგში თესლები იბერება, ზევით დიდი, მწვანე ფოთლების კონას იფურჩქვნის, ხოლო ძირს, მიწაში სქელსა და ნოყიერ ფესვებს იდგამს.

დრო გამოშვებით გლეხი მინდვრის დასათვალიერებლად მოდის, ცუდ ბალახს თხრის და აშორებს, რომ ჭარხალის ფესვებს მეტი ადგილი დარჩეს და დიდის მზრუნველობით ირგვლივ მიწას აურის. კარგად იცის, რომ ამის წყალობით ჭარხალი უფრო ღონიერი და ნოყიერი—ერთი მეორეზე უკეთესი იქნება.

შემოდგომაზე გლესი ისევ ესტუმრება თავის მეზობელს, რამდენსამე ჭარხალს გულ-დასმით ფესვებს გაუსინჯავს და დარწმუნდება, რომ საკმაო მაგარი და ნოყიერია. შემდეგ ეველას ძირიანად თხრის და ფესვებსა და მწვანეს ერთმანეთს აშორებს. მწვანე თავებს საქონლისთვის ინახავს, ხოლო ნოყიერ ფესვებს შაქრის ქარხანაში ჰგზავნის.

აქ კარგად რეცხავენ, მიკრულ ტალახსა და მიწისაგან სწმენდენ. შემდეგ სჭულეტენ და თხელ ფაფასავით აქცევენ. ამ ფაფით ტომრებს ავსებენ და სატკეცებით სწურავენ. ნარჩენებს აჭმევენ ღორებსა და ხარებს. ერთნიც და მეორენიც ამის გამო უფრო იზრდებიან და სუქდებიან, რის წყალობითაც მეტად გემრიელი ხორცი აქვთ.

ჭარხლის წვენი-კი ქარხანაში რჩება. თავდაპირველად მღვრიე და ტალახის ფერია, მაგრამ მექარხნემ კარგად იცის, თუ როგორ უნდა დასწმინდოს. წვენს დანაყილ ნახშირში სწურავს. მთელი ჩალაბულა ნახშირში რჩება, ხოლო წვენი წმინდა და გამჭვირვალე შიგ გადის. დაწმენდილ წვენს ტაფებზე ასხამენ და ადუღებენ, სანამ არ გასქელდება. ბოლოს ტაფებს ცეცხლიდგან იღებენ და გრილ ადგილას გასაცივებლად სდგამენ.

გაცივების დროს ბადაგიდგან მაგარი ნაწილები გამონაწილდება. ეს შაქარია. მაგრამ მექარხნისათვის ეს საკმარისი არ არის. შაქარი მუქი და უსუფთაო ეჩვენება. წყალში ადნობს და დანაყილ ნახშირში ხელახლა სწურავს, შემდეგ ისევ ტაფებზე ადუღებს. შაქარი იწმინდება და უმჯობესდება. ახლა კი სქელ ბადაგს ყალიბში ასხამს, სადაც ცივდება, მაგრდება და თეთრ სპეტაკ შაქრის თავების მსგავსად გამოდის. შენ არა ერთჯერ და ორჯერ გინახავს შაქრის თავები, მაღაზიების შუშებში გამოფენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ნატესი ჩვენში შორიდგან, ამერიკის ცხელ ქვეყნიდგან, ზღვით მოვიდა. იქ, გაშლილ მინდვრებზე, რომლებსაც ირგვლივ სხვა-და-სხვა ხალმის ხეები აქვს შემორგული, მზის მწველ სხივებს ქვეშ, ზანგები მიწაში [შაქრის ლერწმის ნორჩ ფშანებს რგავენ. აქაც ცხელი მზე და ნოყიერი ნიადაგი თავის საქმეს საუცხოოდ აკეთებს. ჯერ ბატარა ნერგები სწრაფად იზრდება. ორი კაცის სიმაღლე ხდება. ბატრონები მხოლოდ მის დამწიფებას ელიან. დღისით მათ ჭრელი თუთიუუშები გარს უტრიალებენ. ღამით—ათასობით ციცინათელები დაჰფრენენ.

მაგრამ, აი, დიდი ხნის სანატრელი დროც დადგა. ზანგები გროვა-გროვა გამოვიდნენ მინდორში. მჭრელ სასხლავ დანებით სჭრიან გრძელ ლეროებს ძირში და კონებად ჰკრავენ. მამებს კვალ-და-კვალ მინდორში შავი, თმა-ხუჭუჭა ბავშვებიც მისდევენ. ლერწმის ნაჭრებს სწოვენ და შაქრის ტკბილი წვენით ბირს იტკბარუნებენ.

მომკილი და შეკონილი ლერწამი ქარხნებში მიაქვთ. აქ მათ უვარგის ფოთლებს აცლიან, სჭყლეტენ და გამოსულ წვენს რამდენჯერმე ადუღებენ და დანაყილ ნახშირში სწურავენ. ამ ნაირად აქაც მუქ და მღვრიე ბადაგისაგან თან-და-თან თეთრი, თოვლივით სუფთა შაქარი გამოდის.

და აი ისინი ორთავენი: ჩვენი, ჩვენებური და შორეულ ამერიკიდგან მოსული, ბავშვს ხელის გულზე უძევს, ერთნაირად თეთრი და სუფთა, თითქმის გემოთიც ერთნაირი და ერთნაირად კარგი, ოღონდ ძალიან ბატარეები ნუ იქნებიან და ჩვენს ბატარას გულს ნუ დასწვეტავენ.

დ. ყიფიანი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭკვიანი სპილო.

(გერმანულით).

ეო ერთი მოშინაურებული სპილო. ქუჩაზე თავისუფლად დაიარებოდა. ერთსელ, როდესაც მეფის სასახლეს აშენებდნენ, მას სამუშაო მიუჩინეს. დიდი სპილენძის ქვაბი წელით უნდა აევსო. როდესაც ეს ქვაბი დაზიანდებოდა ხოლმე, მჭედელთან მიჰქონდათ შესაკეთებლად. სპილო ამას თვალ-ყურს ადევნებდა.

ერთსელ სპილომ შეამჩნია, რომ ქვაბს ძირი დაჭზიანებია და წყალი გასდის. საჭირო იყო მისი შეკეთება.

ასწია ხორთუმით ქვაბი და მჭედელს წაუღო. მჭედელმა ქვაბი შეაკეთა. სპილომ უკან წამოიღო და, როდესაც შიგ წყალი ჩაასხა, ნახა რომ ქვაბი კარგად ვერ იყო შეკეთებული და ისევ წყალი გასდიოდა. მაშინ სპილომ წელით საგსე ქვაბი მჭედელს უკანვე წაუღო, ზედ თავზედ დაუჭირა და თავი დაუსველა; მჭედელი მიხვდა თავის შეცდომას, საბოლოოდ შეაკეთა და სპილოს უკან გაატანა.

სპილომ მუშაობა განაგრძო.

ა. შანშიაშვილი.

♣ ♣ ♣

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოთვალე!

ბაშვმა შროშანს, შროშანმა შაშვს,
გვრიტმა ქედანს, ქედანმა ტრედს,
ბელურამ ჩხართვს, ჩხართვმა ოფოფს,
ევავმა კაჭკაჭს, გუგულმა გედს,
ძერამ არწივს, სვავმა წეროს,
ჯიხვმა ქურციკს, ჯერანმა შველს,
ფსიტმა კანჯარს, დათვმა მგელსა,
კუმ ხღარბუნას, ტურამ კურდღელს;
ხეკაკუნამ გულეგითელას,
ქორ-ძიძინომ მალ-შაგარდენს,
გნოლმა კაკაბს, მერცხალმა მწყერს,
მწყერმა დურაჯს, ქათიბით ჭრელს,
იადონმა სუმბულ-ბულბულს
და სუეველამ კი ერთმანეთს
მიულოცეს გაზაფხული.
დაჭკრეს დაფი და ნაღარა,
გაზაფხულმაც ფრთა გაშალა
და სუეველა გაახარა.
სხვებიც იეენენ იმათ გუნდში,
ირეოდა დიდი ჯარი,
ჩახრიალა კლდის უფსკრულში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გარშემო მთა და ბარი
ბანს ამლევდათ, უმღეროდათ,
ტაშსა სცემდა ნიავ-ღვარი,
მდინარეს მათ სანასავად
გაენგრია თვის საზღვარი.
მე ორმოცდა ერთი გითხარ,
ყველასთვის ვერ მოვიცალე,
თუ ბიჭი ხარ დანარჩენი,
აბა, თვითონ ჩამოთვალე!

ი. ევდოშვილი.

წუმწუმის გადასვ-გადმოსმა.

(წარმოდგენილი დ. კარბელაშვილის მიერ).

აიღეთ ათი წუმწუმის ღერი და მწკრივათ დაალაგეთ, როგორც 1-ლ ნახატზეა ნაჩვენები.



ნახ. 1.

ასლა უნდა ეცადნეთ ისე გადააწყვ-გადმოაწყოთ ეს წუმწუმები, რომ სულ ჯვარედინად ეწყოს, როგორც მე-2 ნახატზეა ნაჩვენები; ამასთან, ნება არა გაქვთ, ორ ღეროზე მეტზედ გადახტეთ.



ნახ. 2



ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილი დ. ჯანაშვილის მიერ).

მე-12 №-ში მოთავსებულ რებუსის ალსნა:

ორაგული კარგი თევზია.

რედაქტორი: ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი: თ. ბ. ი. თუმანიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნაკადული“-ს რედაქციაში და წერა-კითხვის სახლ-
გადოების მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

„ნაკადული“-ს რედაქციის გამოცემა:

1) **ზღაპრები ვილჰელმ და იაკობ გრიმისა.**—ფასი. 30 კ.
2) **ტომის თავგადასავალი,**—თხზულება მარკ ტვენისა, ფასი . . . . . 50 კ.
3) **რას გვიამბობს ოთახი,**—თხზულება ავენარიუსისა, ფასი . . . . . 20 კ.
4) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,**—ფასი. 1 მ. — „
5) **სკრუჯი და მარლეი,**—საშობაო მოთხრობა ჩარლზ დიკკენსისა, ფასი. . . . . 25 კ.
6) **სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,**—ივანე ელიაშვილისა ფასი. . . . . 30 კ.
7) **ამხ. „ცისკრის“ გამოცემა:**—ლევ ტოლსტოის მოთხრობები, ფასი . . . . , . . 5 კ.
8) **შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან,**—ნინო ნაკაშიძისა ფასი, ... 5 კ.

**ამ წლის 25 მარტიდგან გამოდის ქ. ქუთაისში ყოველ-
დღიური ქართული გაზეთი**

კ ო ლ ხ ი დ ა

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ხელის მოსაწერი ფული უნდა გამოგზავნოს ქ. ქუთაისს რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველი აპრილიდან წლის დამლევამდინ 5 მან. და 10 შაური. თვიური ოთხი აბაზი.

თითო ნომერი ერთი შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1911 წლის იანვრიდან 1912 წლის იანვრამდის
საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

ფელიეტონი მეშვიდე

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

ვარდა ამისა 1911 წლის ხელის მომწერლებს საჩუქრად მიეცემათ:

I. ლევ ტოლსტოის მოთხრობა: **ბავშვობა** და **სიყრმე**“, თარგმანი, ლევ ტოლსტოის სურათით დ ბიოგრაფიით, — II. „**რჩეულ მოთხრობათა კრებული**“.

ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: **წლიურად ხუთი** მანეთი. სახეკვრის **წლით სამი** მან.

სამზღვარ გარედ: **წლიურად შვიდი** მანეთი. სახეკვრ **წლით ოთხი** მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი **სამი** მან. — მოზრდილთათვის 12 წიგნი **სამი** მან. — ხელის მოწერა მიიღება **წლიურად** და **სახეკვრი** **წლით**. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**